№ 95. 8 მაისი, პარასკევი. 1866 — 1881 8 მაისი, პარასკევი. № 95.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАМОУДИС УКОУЕЛ-ДЕ ОРШАБАТИС ГАРДА

რედაქცია

გალაკტიონის პროსპექტზეთ. ივ. მუხრანსკის სახლებში. კლუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „იბერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში-იბერიის“ აგენტთან ი. ჭეონიასთან ხიდასზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაზ“-„იბერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს 3 თვეს

„დროებაზ“ და „იბერიაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„იბერიაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 7 კაპ. წვრილებურებით ასოზე 5 კაპ. ორკერძოთ ასოზე ნახევარი კაპ. ერთკერძოვანი ასოთ ასოზე შეოთხედი კაპ.

ბიბ-ლიოთეკა

თუ ხ

რიოანება მოითხოვს, რედაქცია კანსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ოინტოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“-„იბერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

საგაჯრო სახლი

ძმათა კ. და ს. პოპოვებისა

მოსკოვში

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, ზოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—2)

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალაკტიონის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. იდია ჭეონიასთან (სიდასზე, მირიან ჭეონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ტელეგრამები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 7 მაისს. გუშინ, ოთხშაბათს, კრების უმრავლესობამ გამოაცხადა სურვილი, რომ ბანკის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრებს, ჯამაგირს გარდა, წმინდა მოგებიდამ სარგებლის (პროცენტის) მიცემა მოესპოს. მაგრამ, რადგან ამ საგნის გარდასაწყვეტად (წესდების მუხლის შესაცვლელად) ბანკის დამფუძნებელთა ორი მესამედი ნაწილი არის საჭირო, ამის გამო გუშინ გერა გადაწყვეტეს-რა და ამ საგანზე დღეს იქნება ჯენჭის-ყრა.

გამგეობის თავს-მჯდომარის ამორჩევა ხვალ იქნება. თუ მეგრელებმა არ წამოაყენეს თავის კანდიდატი, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში თავს-მჯდომარედ ისევ მეული (ნ. დოდაბერიძე) დარჩება.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი“)

კეტერბურღი, 6 მაისს. გუშინ-წინ, ეკატერინის არხიდამ, იმ ადგილის მახლობლად, სადაც იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოჰკლეს, ამოიღეს გუდაბერჩის ტომარაში გახვეული შავი დინამიტი (ასაფეთქი წამალი) 126 გირვანქა; დინამიტს არც ასაფეთქი ჭახრაკი ჰქონდა და არც მავთული.

ჩერნოგორიის დეპუტაციამ მიცვალებულ იმპერატორის საფლავზე ვერცხლის გვირგვინი დაადვეს გუშინ.

სპარსეთის ელჩებს რუსის ორდენები მისცეს.

კეტერბურღი, 6 მაისს. შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა გრაფ იგნატიევმა დუბერნატორებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ მთავრობის ეროვნული საშუალება იმაზედ იქნება მიმართული, რომ საზოგადოების დახმარებით ამოფხვრას რევოლიუციონერების ბოროტ-განზრახულება; ამ საქმეში მთავრობის დასახმარებელად საზოგადოებას ჯეროვანი საშუალება და ღონის-ძიება მიეცემა; თავად-აზნაურობისა, ერობისა და ქალაქის მცხოვრებთ უფლება ხელ-უხლებელი დარჩება; გლეხების მდგომარეობა, შეძლებისა-და-გვარად, შემსუბუქდება; მთავრობა გაუმჯობესებს იმათ საზოგადო წყობილობას და ეკონომიურ მდგომარეობას.

სტამბოლი, 5 მაისს. სულთანის ბიდულ-აზისის მოკვლის შესახებ დანიშნულმა გამოძიებამ, სხვათა შორის, აღმოაჩინა, რომ ამ საქმეში ახლანდელ სმირნის დუბერნატორს მითხად-ფაშასაც ჰქონია მონაწილეობა. მითხად-ფაშა შეფარულია (დამალულია) ახლა საფრანგეთის ელჩის სახლში სმირნაში; ის დაითხოვეს თანამდებობიდამ და სმირნის დუბერნატორად დანიშნეს ალი-ფაშა. სასამართლოს კომისია მიდის სმირნაში, რათა ჩვენება ჩამოართვას მითხად-ფაშას.

ლორის-მელიქოვის გადადგომა

ტფილისი, 6 მაისს.

ბუშინდელმა დეპეშამ მოგვიტანა ერთელი რუსეთისათვის საყურადღებო ამბავი: გრაფი ლორის-მელიქოვი გადამდგარა თავის თანამდებობიდგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გარემოება მთელი რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის მწერლობაში და საზოგადოებაში დიდს ეჭვს დაჰბადებს შესახებ იმ მიმართებულებისა, რომელსაც მიიღებს ახლა ჩვენი მმართებლობა.

მართლაც, რა გზას დაადგება ჩვენი პოლიტიკა? წელიწადზე მეტია, რაც ლორის-მელიქოვი იქმნა მინისტრათ მოწოდებული; წინეთ მისი სახელი ძლიერ განთქმული იყო რუსეთში; დაინიშნა თუ არა მინისტრად, რუსეთი აღტაცებით მიეგება ამ ანბავს. ყველა ელოდა რამე ცვლილებას, რამე წესდებას, რომელსაც უნდა დაემშვიდებინა აღელვებული რუსეთი. შემდეგ სასახლის აფეთქებისა რუსეთი დარწმუნდა, რომ მმართებლობის მოწინააღმდეგენი მძლავრ დასს შეადგენენ, რომ მათთან ბრძოლა ადვილი არ არის. მმართებლობა ებრძოდა, სდევნიდა ესრედ-წოდებულ ნიღილისტებს, მაგრამ უქმათ ჩაუარა.

მიიღო თუ არა ლორის-მელიქოვმა შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი, მიმაჰრთა საზოგადოებას და სთხოვა მას შემწეობა: მმართებლობას არა შეუძლია-რა, თუ თქვენ არ მოეხმარებით ბოროტების მოსასპობელათო; მმართებლობის ცდა უამისოთ ფუჭი არისო.

ამ პროკლამაციამ შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთზე. ყველამ ეს ახალი მიმართულების დროშის აღებათ ჩასთვალა. ყველას გვეგონა, რომ მმართებლობა ახალ გზას დაადგა და მოქმედების საშუალებაც გამოიცვალა. წინეთაც გაისმოდა ხმა, რომ საზოგადოების შემწეობა არის საჭიროო.

მაგრამ რა საშუალებით უნდა დახმარებოდა საზოგადოება? მისი შეწევნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, რომ რამე ორგანი ჰქონოდა, საცა შესძლებოდა გამოთქმა თავის აზრისა; როგორც მოგეხსენებათ, ამ უფლებას მოკლებულია ის.

მართალია, რუსეთში არის ერობა; მაგრამ ერობის უფლება ისე შეეიწროებულია ადმინისტრაციისაგან, რომ სახელმწიფო, საერო საქმეებზედ მსჯელობა იმას აღკრძალული აქვს: ის განაგებს მხოლოდ წრვილმან საქმეებს, რომელნიც ეხებიან რომელიმე მაზრის ნივთიერ მდგომარეობას.

აზნაურობის კრების უფლებანიც კიდევ უფრო ვიწრო წრეში არის ჩამწყვდეული.

მაშ რა რიგათ გამოეთქვა თავის აზრი საზოგადოებას, რა საშუალებით უნდა დახმარებოდა მმართებლობას? მწერლობა, მართალია, ყოველ დღეს ღაღადებდა ამ წყობილების შეცვლას; უჩვენებდა გზას, რომელზედაც მსელელობა სასარგებლო, საჭირო და გამოსადეგი იყო; მაგრამ მისი აზრი დარჩა უყურადღებოდ.

ლორის-მელიქოვმა ყველასათვის სასიამოვნო პირველი ნაბიჯი კი გადგა და მოიწვია ის, ვისაც შეწევნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენდა და შეადგენს. მაგრამ ამით საქმე გათავდა; ითქვა და, საუბედუროთ, აღარ აღსრულდა, თითქო რაღაც შიშმა შეაჩერაო; სიტყვა სიტყვათ დარჩა. ამის გამო პირველი აღტაცება დაცხრა. ამბობენ, სიჩქარე შეუძლებელი იყოვო, ჯერ მომზადება იყო საჭიროვო, უამისოთ არ შეიძლებოდა ის წყობილობა შემოღილო, რომელიც გამოიწვევდა საზოგადოების ნამდვილ შემწეობას და დახმარებასო. ამისათვის მოსპო მესამე ბანყოფილება, გადააყენა გრაფი ტოლსტოიო და სხვა ამგვარები. მაგრამ როცა სახელმწიფო რყევაშია, როცა სიმშვიდე დარღვეულია, როცა წესიერების და კანონის მნიშვნელობა შებღალულია, ამ შემთხვევაში მაგარის და ძირეულის წყობილობის შემოღებაა საჭირო, მაგარის და ჩქარის ნაბიჯით უნდა მიეშუროს მმართველი უმთავრესს საგანს; თორემ ბორძიკი, რყევა, დღეს ერთის უფლების მიცემა და ხვალ კი იმავე უფლების შემცირება ან წართმევა კეთილს არ დააყრის.

ამ გვარი მოქმედება იყო საჭირო ლორის-მელიქოვისათვის, და თუ ამის შესრულება ვერ შესძლო, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, უმჯობესი იქნებოდა მაშინვე თავი დაენებებია თავის თანამდებობისათვის.

ლორის-მელიქოვის ადგილზე დაინიშნა გრაფი იგნატიევი, რომელიც ადრე სტამბოლში იყო ელჩათ. არ ვიცით, თუ რა მიმართულებას მისცემს ახალი მინისტრი რუსეთის შინაგან პოლიტიკას...

ქუთაისის ბანკის კრება

სხდომა მესუთე, 4 მაისს.

სხდომა გაიხსნა 12 საათს და 20 წამს. მეკენჭეთ რიცხვი 588 — არის. თეატრის პატრონი ბ-ნი ა. ხარაზოვი აცხადებს, რომ გალლერეია მარტო ას-ოცი სულისათვის არის გაკეთებული და ახლა კი ზეეთ ორასზე მეტი ქალები სხედანო. თუ ჩამოიმტვრეს, ჩემი ბრალი ნულარ იქნებაო. ზედამხედველ კომიტეტმა „გადაწყვიტა“ ქალებთან მყოფ უკუდო კავალერების

ძირს ჩამოხმობა. მთელი დარბაზი ამათკენ მიბრუნდა და ჰყვირიან: „ძირს, ძირს!“

დღეს უნდა განიხილონ ხარჯთა-აღრიცხულის მუხლები პირველ §-დამ დაწყებული.

ბამგეობის თავს-მჯდომარე ნ. დოდობერიძე თხოულობს სიტყვას და ამტკიცებს ბანკის აგენტების აუცილებელ საჭიროებას თფილისში და პეტერბურღში. ტყუილია ის შიშიო, სთქვა მან, ვითომც თფილისიდამ ამიერ მსესხებლები აღარ გეყოლებიან, როგორც ზოგიერთები ამბობენ. თფილისის აზნაურთა ბანკი ჩვენს ბანკს ცილაობას ვერ გაუწევს. ისინი თუ 27½ წლით ჩვენზე ნაკლებ %-ით იძლევიან სესხს, ჩვენ 43½ წლით უფრო ნაკლებ სარგებლით ვასესხებთ ფულებსა. ბარდა ამისა, თუ ღმერთი გაწყრა, და ბანკს რაიმე ხიფათი შეემთხვა, გირაოს ფურცელთა პატრონების დასაკმაყოფილებლად, ჯერ მოგება წავა, მერმე სათადარიგო კაპიტალი, შემდეგ ძირეული ფული ბანკისა და მხოლოდ მას შემდეგ მსესხებლების გირაო. თფილისის ბანკში კი ასე არ არის. რაც შეეხება მეორე ბანკს, რომელიც თფილისშივე უნდა გაიხსნასო,—ის, თუ კი გაიხსნება, არის აქციებზე დამყარებული ბანკი. დიდი სესხის გამტანი ყოველთვის ჩვენს საადგილ-მამულო ბანკს არჩევს, რადგანც აქ უფრო უზრუნველია ფული გირაო. მაშასადამე თფილისიდამ მსესხებლები ჩვენს ბანკს არ მოაკლდება (ახლაც გვყავს რამდენიმე ასი ათასი მან. სესხის მთხოვნელნი) და ამიტომ ვითხოვთ თფილისის აგენტის ჯამაგირი დამტკიცებულ იყოს.

პეტერბურღშიაც მიუცილებელი საჭიროებაა აგენტი გვყვანდეს. იქ ჩვენ გვაქვს საქმე სანისტროში, ექსპედიციაში და სხვ., რომელთაც გაკეთებას ცალკე უნდა ჰყავდეს კაცი მიჩენილი. იქაურ ეხლანდელ აგენტმა (თ. ვასილ მაჩაბელმა) უკვე დიდი სამსახური გაუწია ბანკს სახელმწიფო ბანკში კუპონების დახურდავებით.

ჯ. ლორთქიფანიძე ამბობს, ჩემი აზრი აგენტების თაობაზე გუშინაც მოგახსენეთ და დღეს გაკვრით მოვიხსენიებ. თფილისის აგენტმა რაღაც რვა თუ თერთმეტი სესხი გვიშოვნა ამით არც დიდი შრომა დასჭირდებოდა ამისთვის. პეტერბურღის აგენტის შრომა სულ არაფერია. მისი საქმე კანცელარიიდამ კანცელარიაში სიარულია. თუ დიდს შრომას სწევდა — რატომ გვიჩაოს ფურცლები ერთი წლის განმავლობაში არ გაიყიდა? მისი მაგიერობა შეუძლია ბანკირის სახლმა გაგვიწიოს.

ნ. დოდობერიძე. თფილისის და პეტერბურღის აგენტებზედ წელან მოგახსენეთ, ეხლა მხოლოდ პეტერბურღის აგენტის შესახებ უნდა დავუმატო რამდენიმე სიტყვა. როგორც ქირილე ლორთქიფანიძე ლაპარაკობს, ვსინჯეთ ისე, ბანკირებისათვის მიგვენდო აგენტობა, მაგრამ ან არ იკისრეს და თუ იკისრეს, უფრო ძვირად დაგვიჯდა მათი აგენტობის მაგიერობა.

ჯ. ლორთქიფანიძე. მაშ კარგი. დარჩეს ისე თფილისისა და პეტერბურღის აგენტები და ფაქტებმა გვიჩვენოს—რამდენად გაამართლებენ ისინი თავიანთს დანიშნულებას. რაკი აგენტებზეა ლაპარაკი და მათი მომატება, ან მოკლება ხარჯთა-აღრიცხვას შეეხება, უნდა მოგახსენოთ რომ, ჩემის აზრით, ქუთაისში დავაწესებდეთ ერთს აგენტს, რომელმაც...

თავსმჯდომარე აჩერებს. ეს ახალი წინადადება არის, თუ გნებავდათ განხილულიყო, შვიდი დღის წინედ უნდა წარმოგვიდგინათო.

ჭირიდეს უნდა რაღაც უპასუხოს, მაგრამ უმრავლესობა კრებისა აღარ ნდომულობს, უმცირესობას სურს... ბაიპართა „სთქვი“ და „არ გვინდას“ ყვირილი. ხალხი ცოტათი დაშოშმანდა... ქირილემ აღიმაღლა „ხმა თვისი“ და მიმართა კრებას ცერებზედ შემდგარმ: მე ელაპარაკობ ხარჯთა-აღრიცხვის წრეში და სრული უფლება მაქვს ამ საზღვარში რასაც საქმის საჭიროდ დავინახავ, ის ვთქვა. თუ ამ ნებას მე არ მაძლევენ, ეს არის პირში კვის ამოდება.. (ხმაურობა).

ლ. ასათიანი ხსნის, რომ ეს ახალი წინადადებაა და არა ძველი.

ჭირ. ლორთფანიძე ამბობს, მე და მეორე წევრმა ზედამ. კომიტ. დ. აბდუშელმა შევიტანეთ ამის თაობაზედ ზედ. კომიტეტში წინადადება და კომიტეტმა ბამგეობის თავს-მჯდომარეს წარუდგინაო. ამ უკანასკნელმა წამოაყენა თავისი აზრი, მაგრამ ჩვენ (ე. ი. კრებას) არ მოგვახსენესო.

თავს-მჯდომარე. რამდენიმე თვეა მას აქვეთ, რაც ბატ. ქირილემ და დ. აბდუშელმა ზედამხედველ კომიტეტს წარმოგვიდგინეს ეს წინადადება, მაგრამ ჩვენ განვიხილეთ, და როგორც ქირილემ და აბდუშელმა უწყისთ, უყურადღებოთ დავსტოვეთ. მას აქვეთია ამ წინადადებაზე მათ შემომტანლებს ხმა არ ამოუღიათ. რად არ გვახსენეს ერთის სიტყვით ეს წინადადება, იმ დროის განმავლობაში, როცა ზედამხედველი კომიტეტი მათის მონაწილეობით იხილავდა კრებისათვის წარსადგენ საგნებს? ახლა კი სხდომის დროს უეცრად წამოაყენეს მათი მივიწყებული წინადადება, რომელიც მოსახსენებელ საგანთა სიაში არ არის ჩართული. მე მგონია რომ ამ შემთხვევაში პატივცემული არატორი გარდასცდა ჭეშმარიტებას და დაადგა საპოლიციო გზასა... (ხმაურობა).

თავს-მჯდომარე დაადგინა კითხვა: დამტკიცდეს პეტერბურღის და თფილისის აგენტების ჯამაგირები, თუ არა?

კრებამ დიდი უმრავლესობის ხმის მოცემით, უკენჭოთ (?) გადასწყვიტა, ზემოხსენებულ აგენტების ჯამაგირები დარჩეს ისე, როგორც ხარჯთა-აღრიცხვაში არის მოხსენებული.

დანარჩენი მუხლები ხარჯთ-აღრიცხვისა უ-ამდენ დავიღარაბოთ გადასწყიტეს თანახმად ზედამხედველ კომიტეტის მოსხენებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ, ის 2500 მანეთი რომელიც წლევანდელს ხარჯთ-აღრიცხვაში მეტია შარშანდელისაზე შუაზედ გაიყოს და მხოლოდ ნახევარი მოემატოს წლევანდელ ხარჯთა-აღრიცხვას. იმედია მმართველობა გაუფრთხილდება ხარჯს და თუ მაინც და მაინც დასჭირდება—ის 2,000 მანეთი ჰხარჯოს, რომელიც ზედამხედველ-კომიტეტს საყოველ-შემთხვევოდ აქვსო.

შემდეგ კრება გადიდვა საზოგადო საჭიროებათათვის დანიშნულ ფულის (18,006 მან. და 8 კ.) განაწილებაზედ.

ახალი ამბები.

—

რიგას გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ცნობები ლორის-მელიქოვის უკანასკნელ მოქმედების შესახებ:

„ბრაფ ლორის-მელიქოვმა წარუდგინა უმაღლეს მთავრობას პროგრამმა და თან გამოაცხადა, რომ, თუ ეს პროგრამმა არ იქნება მიღებული, იძულებული ვიქნები ჩემს თანამდებობას (შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას) თავი დავანებოვო. ეს პროგრამმა შემდეგს ხუთ მუხლს შეიცავს:

„ა). დაბოლოებით გარდაწყვეტა გლეხების საქმისა, საბატონო ადგილების გამოსასყიდ ფასის შემცირება, გლეხების გარდასახადისა და სხვ.

„ბ). ქალაქებსა და ერობათ ხელახლად მიენიჭოს ზოგიერთი უფლება, რომელიც მათ წაერთვა.

„გ). საქალაქო და საერო თვითმმართველობის უფლებათა მომატება.

„დ). შემავიწროებელ პოლიტიკის მოსპობა რუსეთის განაპირა ქვეყნებში და

„ე). ადგილობრივ ადმინისტრაციის რეფორმა სოფლის საზოგადოებიდამ დაწყებული ღუბერნატორობამდინ.

„ყველა ამ საგნებზე მოსალაპარაკებლად მთავრობას რუსეთის ყველა გუბერნიებიდამ კენჭის-ყრით, ამორჩევით, უნდა მოეგროვებინა ხალხის წარმომადგენელთა კომისია.“

ზემოხსენებული გაზეთი ამ პროგრამის მოყვანის შემდეგ, ამბობს, რომ რადგან გრ. ლორის-მელიქოვს ჯერ კიდევ არ დაუტოვებია თავის თანამდებობა, ამის გამო უნდა ვიფიქროთო, რომ იმის პროგრამმა უმაღლესმა მთავრობამ მიიღოვო. მაგრამ გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ გრ. ლორის-მელიქოვს მიუტოვებია თავის თანამდებობა...

* * *

დღეს, პარასკევს, საღამოს 8 საათზე თფილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში იქნება სხდომა მეხუთე არხეოლოგიურ კრების წინასწარ კომიტეტისა. თავსმჯდომარე აცნობებს კრებას იმ არხეოლოგიურ გამოკვლევას და მუშაობას, რომელიც სხვა და სხვა პირებმა შეასრულეს კომიტეტის მინდობილობით. ამას გარდა ბ. დ. ზ. ბაქრაძე იტყვის რამდენსამე სიტყვას ბერძენ თუ მეცხრე საუკუნის ძველს ქართულს დაბადებაზე, რომელიც იმან იპოვნა ერთვინში (იქაურ სომეხ-კათოლიკეთ მონასტერში).

ამ კრებაზე გარეშე პირთაც შეუძლიანთ დასწრება.

* * *

დღესვე დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც აგრონომი ვასილიევი იტყვის რამდენსამე სიტყვას აგრონომიულ სტანციის გამართვაზე ქ. ერევანში; თ. დ. თუმანიშვილი წაიკითხავს თავის პროექტს ბზიბის ტყის სარგებლობაზედ და აგრონომი ხოჯაშვილი—ყირიმში გამოჩენილ ფილოქსერაზე და იმის მოსპობის ღონისძიებაზედ.

* * *

ბორიდამ გვწერენ, რომ მაისის 3-ს იქ მისულა ბ. თფ. ღუბერნატორი, რომელიც სოფლებში მიდის კალიის მოსასპობლათო, რადგანაც ხმები აყოვო, რომ სოფ. ხელთუბანში და იმის ახლო-მახლო ადგილებში კალია გამოსულაო.

ჩვენი კორრესპოდენტი გვარწმუნებს, რომ როგორც გაუზვადეს, იმის ნახევარიც არა არის-რაო. მართალია, ალაგ-ალაგ გალაყებული კვეცხები იპოვეს და ალაგ-ალაგაც კუტი-კალია, მაგრამ საშიში კი არა არის-რა. ხმა კი უფრო იმ პირებმა გაავრცელეს ვინც შარშან, ამ კალიის წყალობით, ჯიბეები გაიტენოსო და წელსაც ამგვარადვე „შეძენას“ მოელიანო.

წელს ქართლისაკენ ძლიერ კარგ მოსავალს მოელიან.

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ, ამბავს გვწერენ:

„ერთი მეტათ სამწუხარო ამბავი მოხდა აქაურს სასულიერო სასწავლებელში: ამ სასწავლებლის ინსპექტორს ბ. ივანე ბაფრინდაშვილს სცემეს ორმა მესამე კლასის შაგირდებმა.

„ეს მოხდა დილის შვიდს საათზე. როდესაც მოდოდა კიბეზე, დახვდენ ეს შაგირდები, ეტაკენ, დასცეს ქვის კიბეზე, ცხვირი გაუხეთქეს და წაღის ქუსლით მუცელზე სცემეს.

„ამის შემდეგ შაგირდები გადაცვინდენ და დღესაც არ სჩანან. ინსპექტორი ლოგინში წევს და სისხლს აფურთხებს.

„ამ საქმის თაობაზე ყოველად-სამღვდელო ბაბრიელმა გამოძიება დანიშნა.

შაგირდები გახლავან: ერთი მღვდლის შვილი ოკრიბელი ძელბაქიანი და მეორე რაჭველი ბოცერიძე; ორივეს მამები თავ-ქუდ-მოგლეჯილი დაეძებენ თავიანთ შვილებს.

„არ ვიცით—ვინ ვიტიროთ: შეურაცყოფილი ინსპექტორი თუ დაკარგული შაგირდები“?!.

ურიგო არ იქნება, სასულიერო მთავრობამ კარგათ გამოიკვლიოს არათუ მარტო ბ. ინსპექტორის

შეურაცყოფის გარემოება, არამედ ის, თუ რამ აიძულა შაგირდები ამისთანა მოქმედებისათვის და საზოგადოთ ამ სასწავლებლის გამგეობის წესები ..

* * *

ჩვენს ქალაქში გავრცელდა სხვა და სხვა რიგი ხმა შესახებ იმ შეტაკებისა, რომელიც მოხდა ქ. ბაქოში ბაზრის ვაჭრებს—თათრებსა და რუსის მუშებს შორის. ამ საქმეზედ იყო ქოხსენებული ოფიციალურად 14 აპრილს:

მიზეზი შეტაკებისა ყოფილა ქალაქის რჩევის იასაული, რომელიც უზრდელად ექცეოდა მუშებს, რის გამოც პირველად მომხდარა ჩხუბი. რუსები თავს დაცემიან თათრებს და დაუწყიათ მათი დუქნების ცარცვა; თათრებსაც მიუხმიათ თავიანთი მომხრეები. მაგრამ პოლიციას მალე გაურეკია ხალხი; ამ დროს ერთ პოლიციის პრისტავს ქვა მოხვედრია. რამოდენიმე მუშა-რუსი დაუტუსაღებიათ.

საღამოს რამოდენიმე რუსის მუშებს მოუყრიათ თავი, მისულან პოლიციაში და უთხოვნიათ გამოეშვათ დაჭერილი ამხანაგები; დაეწყოთ ფანჯრებში ქვის სროლა და მინების მტვრევა.

15 აპრილს რუსის მუშებს ხელახლაე დაეწყოთ თათრების დუქნების ცარცვა; მაგრამ პოლიცია დროზე მიშველოდა და გაბრაზებული ხალხი გაერეკნა. 16 აპრილს უწესოება უფრო გაძლიერებულიყო, თუმცა პროკურორმა გაათავისუფლა დატუსაღებულები, დიდ-ძალ რუსის მუშებმა, სომხების დახმარებით, დაიჭირეს ბაზარი და ახლო-მახლო მდებარე ქუჩები და დაიწყეს დუქნების ცარცვა და თათრების ცემა. თათრები სახლის სახურავებიდამ, ბანებიდამ ესროდენ ქვებს. სომშვიდის დასამყარებლად გამოიწვიეს მთელი ადგილობრივი ჯარი. დაწყვეს თუ არა ჯარი, ხალხი დაშალა. მოკლული არავინ არის; ქვით დაჭრილია ერთი მუშა-რუსი და მძიმედ გალახულია ერთი თათარიც. 17 აპრილს, ოთხ საათზე, კიდევ შეიყარა თავი ხალხმა და დაემზადა საჩხუბრად. ურჩიეს დაშლილიყვნენ; მაგრამ ხალხმა არ გაიგონა და პრაპორშჩიკი რეინსკი თავის კამანდით შევარდა ხალხში და დაიწყო მათი გარეკა თოფის ყუებით; თათრებმა დაიწყეს ქვის სროლა და ორჯელ რევოლვერი გამოისროლეს; ამათ მოეხმარა ახალი გუნდი თათრებისა სრულიად დაიარაღებული; მოისმა ოთხი სროლა და გახშირდა ქვის სროლა. ერთი ქვა მოხვდა გვერდში რეინსკის, რომელმაც იმავე წამს უბრძანა სალდათებს თოფების დატენა და ჰაერში სროლა. ცხრაჯერ დაცალეს თოფები, მოკლეს ერთი და დასჭრეს ორი თათარი. ამის შემდეგ უწესოება დაწყნარდა. ამ უწესოებას არავითარი პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია.

„დროების“ კორესპონდენციები.

I

ბათუმი, 27 აპრილი. ღამის პირველ საათზე დაწყებულმა საშინელმა ცეცხლმა ოთხი საათის განმავლობაში იმსხვერპლა ბათუმის ერთი საუკეთესო ნაწილი სავაჭრო ადგილისა; დაიწვა სამოცდა თუთხმეტამდი მაღაზია და ათამდე ტრაქტირები, ყავახანები და სახლები.—აქათ რიცხვში გარდიწვა ბათუმის მომრიგებელი მოსამართლის სადგმური, რომლისათვისაც, ანბობენ, ყველა საქმები გარდაარჩინესო.

საკოდავს სურათს წარმოადგენენ საბრალო ვაჭრები ქუჩებში გაბნეული თავიანთ საქონლებით.

ამ დაზარალებულებს თავიანთი დანაკარგი იმდენათ არ აწუხებდა, რამდენათაც სხვების გულ-გრილა ცქერა, რადგანაც ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან . . . . . თავის დროზე არც ჯარი მოაშველეს, არც ცეცხლის საქრობი მაშინები და არც გზები შეჰკრეს. როცა მოიყვანეს ხიშტიანი სალდათები, იმ დროსაც ისინი ხალხში ირეოდნენ, ვისაც რა ხელში შეხვდებოდა თავიანთთვის მიჰქონდათ. დამწვარზე უფრო დანაკარგი საქონლები მეტი არისო, ყველა ვაჭრები ერთხმათ ამტკიცებენ.

ხალხს ყველაზე უფრო ის უკვირს, რომ ბათუმის პოლიციის გვერდით რაღაც შენობა და ზედ აწერია „დეპო პაჟარნი—ისტრუმენტებისა.“ მაგრამ იმ ღამეს კი იქ, იმ დეპოდან არაფერი მოუტანიათ; მარტო გემიდამ და ერთი ფრანცუზისაგან მოიტანეს წყლის შესაშხაპუნებელი მაშინა, რომელიც უფრო ჰგავდა იმ მაშინას, რომლითაც ლილიპუტში ნეფის სასახლის ცეცხლი დააქრეს...

ცეცხლის დაქრობისათვის მარტო ხალხი თავ-განწირულებით ებრძოდა ცეცხლს, მაგრამ მარტო ხალხის ძალამ ვერ შეაჩერა საშინელი ცეცხლი, რომელმაც ბევრი ულუკმა-პურობოთ და უსახლ-კაროთ დასტოვა და ყველას ერთათ კი, თუ შენობებით თუ საქონლით, ნახევარ მილიონამდი ზარალი მოუტანა.

ამას წინეთ ბათუმში კომისია მოვიდა თფილისიდან, რომ ბათუმის პლანი უნდა შეიდგინათ და ამ პლანისათვის საჭიროება ითხოვდა—ამ (დამწვარი) ადგილებიდან შენობები აეწიათ, მაგრამ შენობის პატრონებმა დიდი ფულის თხოვნა დაუწყეს.

ამას გარდა ამბობენ, რომ ამ დამწვრებში, რამოდენიმეს თავიანთი საქონლები (მამულის პატრონებს არავის ჰქონია საზღვეველ საზოგადოებაში მიცემული) საზღვეველ საზოგადოებაში ხუთეულ ღირეულ ფასათ მიცემული ჰქონიათ და საგანგებოთ მიეცესთ ცეცხლი.

ასე და ამ ნაირათ გულ-ხელდაკრეფილი ხალხი, უსაქმურათ დარჩენილები დაიარებიან ქუჩა-ქუჩა და წყეველა-კრულვას უგზავნიან იმათ, ვისაც აბრალებენ.

ყველაზე დიდი ზარალი მოუვიდათ ბ. ბეჟან-ოღლებს და მიკირ ძილირიანს, რომელიც ცეცხლმა უკანასკნელ მდგომარეობაში და უნუგეშო სასოწარკვეთილებაში დასტოვა თავისი ცოლ-შვილით.

ბათუმის მომრიგებელი მოსამართლის სადგომის გადაწვა, ყველაზე მომატებულათ ესიამოვნებოდათ ბატ. ქ. და ჟ—ს, რომლებზეც თითქმის ყოველ დღე მუშა ხალხისაგან საჩივარი შედიოდა, რომ „გვამუშავებენ და ფულს არ გვაძლეევენ, მშიერს გვინახვენო“. თუმცა ჯერ არც ერთჯერ გამართლებულან თავიანთი მომჩივრების პირ და პირ, მაგრამ მაინც ამ ნაირ სისაძაგლეს თავს არ ანებებენ.

ერთ ამათგანს ბ. ქ—ს რუსეთიდამ მოუყვანია ასობით რუსის გლეხები, რომ უნდა ემუშავებინა და თან ფული ეძლია თან სარჩო; აღმოჩნდა მათი საჩივრებიდამ, რომ არც საჭმელს აძლევდა რიგიანს, არც თავის შრომის ღირებულს და რომ უჩიოლეს ამისთვის, თავიანთ ბილეთებს არ უბრუნებს, რომ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და ამნაირათ ამათი წყალობით, ეს საკოდავი უცხო ხალხი, ბათუმის ქუჩებში ცუდათ მოსიარულე და მშიერები არა ერთჯერ გვინახავს.

ჭრაზანა.

II

სურამი 1-სა მაისსა. ჩვენს მხარეში მთავრობას ისე შეჩვეული აქვს ყური დაბეჭდილს სიტყვაზედ, რომ რაცგინდა ნათლათ ხატვიდეს კაცი თავის შეეიწროებას რომელიმე თანამდებობის პირისაგან, მას სრულიად არ სჯერა, და თუნდა კიდეც დაიჯეროს, არასფერს ყურადღებას არ აქცევს, ყურს არ იბერტყს, არ იძიებს: რომელი არის ეს თანამდებობის პირი, რომელიც ასე უსამართლოდ იქცევა და თავის მოქმედებას საჟურნალ გაზეთოთ ხდის.

ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც კი ცოტაოდენაც არის მაინც უდევნებია თვალ-ყური ჩვენ ჟურნალ-გაზეთებისთვის, რომლებშიაც ხშირად იხატება მრავალ გვარი უწესოება და ბოროტ მოქმედება სხვა-და-სხვა თანამდებობის პირებისა, იხატება მათი ზნეობითი და გონებითი ნაკლულევანება. მაგრამ სულ ამოდ: ვისაც შეეხება სრულებით ყურადღებას არ აქცევს ამეებზედ.

აი მიზეზი იმ მრავალ გვარი ბოროტ-მოქმედებისა და უწესოებეებისა, რომელთაც საზარელი ფესვები აქვთ გადგმული ჩვენს მხარეში ზოგიერთი თანამდებობის პირებისაგან, რომლებზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის ბედი და უბედობა.

ამ ჩემს სტატიაში მინდა ვილაპარაკო მხოლოდ ერთ იმგვარ თანამდებობის პირთაგანზედ, სახელდობ აქაურს მოსამართლეზედ ქ—ზედ, რომელზედაც თფილისის გაზეთებმა „შალანგამ“ და „სასამართლოს წესებმა“ წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა იმ მიზნით, რომ მიექციათ ყურადღება, ვისაც ჯერ იყო, მის უწესოთ მოქმედებაებზედ, მაგრამ სამწუხაროთ შენიშვნების ავტორებმა ვერ მიახწიეს თვის მიზანს. ქ—ი ისევ ძველებურად აღსრულებს თავის თანამდებობას, ჩვეულებრივ იბარებს ხალხს დილის ცხრა საათისთვის და გამოდის საქმეების გასარჩევად თორმეტს, პირველზედ და ანუ სრულს ორს საათზედ შუადღის უკან. უცდიან ვიდრემდისინ შორიდგან მოსულნი ხალხნი, მშიერ მწყურვალნი, ზოგს ძილი მოსდის ცდაში, ზოგს შიმშილიდგან გული უწუხდება. შიშით ვერ მიდიან სამე დუქანში პატარა მიაწოდონ რამე კუჭს: ეშინიანთ, ვაი თუ სუდია გამობძანდესო და იქ არ დაუხვდეთო.

თუ ერთი ფეხით შეასწრო დაბარებულ პირებს კამერაში და ისინი იქ არ დახვდნენ, ისეთ შტრაფებს (ჯარიმებს) მიაწერს, რომ ცულითაც ვერ ამოფხიკოთ. ეს იმიტომ, რომ ამით საქმეებს ისუმბუქებს: საწყალი გლეხი ჯარიმას ვეღარ წარადგენს საქმის განსაახლებლად და საქმე თავიდან შორდება მოსამართლეს და განრჩევით თავს აღარ იწყენს.

ახლა საქმეების განრჩევაში ნახეთ რა ნაირათ იქცევა: თუ წყალობის თვალით შემოგხედათ და შეადგინა თქვენზედ გარეგანი შეხედულობით აზრი, ნუ იფიქრებთ საქმე ისე გარდაწყვიტოს, რომ გარდაწყვეტილება ეთანხმებოდეს საბუთებს; არა, ისე გარდაწყვეტს, როგორც თითონ გარეგანი შეხედულობით დარწმუნდება საქმეში, ანუ ესე ესთქვათ, როგორც სურს. და თუ იმისთანა პირი არის მომჩივანი, ანუ მოპასუხე, რომელთანაც მეგობრული კავშირი აქვს, ანუ იცნობს გაელენიან პირათ საზოგადოებაში, მაშინ მისთვის საჭირო აღარ არის საბუთი არც წერილითი და არც მოწმები: საქმეს ისეთს მიმართულობას მისცემს, როგორიც სასიამოვნო იქნება მისი მეგობრისთვის.

რაიცა შეეხება საქმეების გასარჩევად დანიშვნას, ამაშიაც ყოველი კაცი შეატყობს მას, რომ მომჩივან-მოპასუხის პიროვნება მისთვის შესანიშნავს როლს თამაშობს: თუ მის მეგობარზედ საჩივარი შეიტანა ვინმემ, ნუ იფიქრებთ ამ საჩივარს ყური ათხოვოს და აღირსოს გარჩევა, ვიდრემდინ მომჩივანი ოლქის სასამართლოს კერძო საჩივრებით არ გაავსებს და მის თავ-მჯდომარეს არ შეაწუხებს თხოვნით „გთხოვეთ მისწეროთ საქმე გამირჩიოსო“ და, ბოლოს, შემდეგ რამდენიმე მოწერილობისა, ძლივს აღირსებს საქმეს განრჩევას; და ისე გაარჩევს ამ გვარ საჩივრებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

ბევრჯელ ისეც მოხდება ხოლმე, რომ მოსამართლეს დაბარებული ყავს ხალხი საქმეების გასარჩევად შორის სოფლიდამ, და როდესაც მოდიან სასამართლოში, სეკრეტარი

უცხადებს მათ, რომ მოსამართლე თფილისში არის, და სხვა ვადისთვის მოგვიათ უწყებეებიო...

უცხოეთი

გერმანია. ბერლინიდამ იწერებიან, რომ კონფერენციის პროექტი, შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეებისთვის-შეფარვისა უცხო სახელმწიფოებში, არ მიიღესო სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკება არის ანარხისტების წინაალმდეგ საშუალების შემოღებაზედო. რუსეთი სთხოვს ოსმალეთის მთავრობას გარდასცეს მას ის ნიგილისტები, რომელნიც ამას წინათ დაიჭარეს სტამბოლში.

ოსმალეთი. პირველი სრული სხდომა ხალხთა შორის კომისიისა სტამბოლში, შესახებ ოსმალეთისა და საბერძნეთს შორის საზღვრის გაყვანაზედ, მომხდარა 28 აპრილს. ოსმალეთის წარმომდგენლებს წარუდგენიათ კომისიისათვის პროექტი, რომელშიაც დაწერილებით აუხნიათ: პირობები, რომლითაც შეიძლება რჯულის თავისუფლად დაცვა, მაჰმადიანების კერძო ქონებაზედ, საქალაქო და საეკკლესიო ქონებაზე ყველა იმ ადგილებში, რომელნიც კი გადასცემია სარძნეთისათვის. პროექტში მოხსენებულია აგრეთვე, რომ ოსმალეთის ხაზინამ უნდა მიიღოს ფასი ყველა იმ სახელმწიფო ქონებისათვის, რომელიც გარდაეცემა საბერძნეთს. პროექტში სრულებით არ არის მოხსენებული—თუ როდის უნდა დაცალოს და გარდასცეს ოსმალეთმა დათმობილი ადგილები. დღეს უნდა განიხილონ ეს საგანი.

ბოლგარია, ბოლგარიის სატახტო ქალაქიდამ სოფიიდამ იწერებიან, რომ მინისტრი ალარაველოვი მიუცია სამართალში, რადგან იმას აწამებენ რუსეთისა და ბერმანიისაგან ბოლგარიის მთავართან მოწერილ საჭირო ქაღალდების დამალვას.

განცხადებანი

გასაქირავებელი სადგომი

სამი და ორი ოთახი ცალ-ცალკე ანუ ერთად, თავის კუხნით და ყველა მოწყობილობით.

ბალავინის პროსპექტზე, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ, მირზოევის სახლებში.

მსურველს შეუძლია იქვე იკითხოს. (5—3)

ახალ-თეკედამ მოკლეს ვადით მოსულმა მოიტანა გასასყიდათ იაფ-ფასად: ხალიჩები, ნოხები, ხურჯინები და სხვ.

ვისაც ამ საქონლის შეძენა ჯსურს, შეუძლიან მიმართოს ბარონბეგოვის ქარვასლაში, ვარანცოვის ქუჩაზე, დილის 8 საათიდამ 9-მდინ. (3—3)

დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(მეოთხე მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალიკანოვისაგან პ. შმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: თფილისში ბ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ძუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოცდათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—2)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ძუთაისს **გერარდის** წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭავჭავაძისაგან. შინაარსი: I ბებუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) ბ—სა, V ფერი ფერს—მადლი დმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩიგიდი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაკვლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგზაურობა ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალები (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

საუმაწვილო წიგნი

„წყაროს“

ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასყიდლათ ჩარკვიანის, ბრიქუროეის და ბართანოვის წიგნის მაღაზიებში.

ძალაქ გარეთ იყიდება: ბორში მარ. ალერესელიძესთან, ძუთაისში ბერარდის წიგნის მაღაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ეაჭრობს.

ფასი ხუთი შაური. ოც ეგზემპლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დეთმობა ეგზემპლიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა საღდგომოთ. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ალვა-ვანი

მაკ-ფას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშინი, დუხები და სხვ. (150—67)

ქალაქის გამგეობისაგან

თბილისის სამოქალაქო გამგეობა აცნობებს საეოველთავოდ, რომ მისი თანადასწრებით 12 მაისს დანიშნულია ვაჭრობა საქონლის საკლავის გადასახადის იჯარით გაცემაზედ. პირობები მსურველთ შეუძლიანთ ნახონ მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმი დღეების გარდა (3—2)

მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და უკეთესგან სცნობილი **ნამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება სოდმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

გალმანინი

(Гальманиннъ)

ისყიდება ათთიანებში და ათთიანის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის ათთიანის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ასსნა როგორ უნდა ისმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—4) ვ. კარპინსკი

მიუხედავათ იმისა, რომ ბაკი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ჯონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის ვლიტუბისა, ბოგოლადისა და ეკსტრაქტისა-ვაგონ-ფრაბის რომელთაც დაიმსახურეს ბარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—58

დასყიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება მარილები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 30 მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი. ქალალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქალალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—13)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—60)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშენი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაღაზიის მოსახურეებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კაპ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანა იგარები. (100—61)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Маія 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჯაჯანაძე და ს. მესხი.